გასვლითი აქტივობა - პაშა ბანკი/ რე|ბანკის თანამშრომლებისთვის

2023 წლის 14 ოქტომბრისთვის ვგეგმავთ გასვლით აქტივობას როგორც პაშა ბანკის ასევე რე|ბანკის თანამშრომლებისთვის. გასვლითი აქტივობა იქნება ერთდღიანი და თბილისში უნდა დავბრუნდეთ იმავე ღამეს.

ღონისძიების დეტალები:

თანამშრომელთა რაოდენობა: 400

25 თანამშრომელი 13 ოქტომბერს უნდა ჩამოვიყვანოთ რეგიონებიდან: ბათუმი და ქუთაისი და 15 ოქტომბერს უკან წავიყვანოთ.

თემა: ბანკი წელს გახდა 10 წლის და გვინდა რომ დავუკავშიროთ ეს თიმბილდინგი. ძირითადი აქცენტები უნდა გაკეთდეს შემდეგ ღირებულებებზე: კოლაბორაცია (Collaboration), საკუთრება(ownership), ანგარიშვალდებულება (Accountability), გუნდურობა. გარდა თამაშებისა ამ თიმბილდინგზე სიტყვით გამოვლენ ბანკის წარმომადგენლები და ისაუბრებენ ზემოთ ხსენებულ ღირებულებებზე. ამ ღირებულებზე ასევე უნდა გაამახვილოს ყურადღება მთელი დღის განმავლობაში წამყვანმა.

ღონისძიებაზე აუცილებლად უნდა გვყავდეს DJ, ბენდი, ფოტოგრაფი, ვიდეოგრაფი. DJ უნდა აფორმებდეს მუსიკით მთლიან დღეს, ხოლო ბენდი დაგვჭირდება საღამოს გალა ვახშმის დროს.

აღნიშნულ ღირებულებს უნდა დავუკავშიროთ სხვადასხვა აქტივობები/თამაშები და გალა ვახშამის დროს გვექნება გათამაშება, შემთხვევითობის პრინციპით დავაჯილდოებთ 15 თანამშრომელს.

კვება: სამჯერადი (coffee break, BUFFET ლანჩი და გალა ვახშამი) და დღის განმავლობაში სხვადასხვა ლოკაციაზე უნდა იყოს განთავსებული გამაგრილებელი სასმელები.

ტერიტორია: გვინდა რომ აღნიშნული გასვლითი აქტივობა იყოს თბილისთან ახლოს ან თბილისში, მაქსიმუმ 1.5 საათის გზაზე. ტერიტორიაზე უნდა გვქონდეს ორივე სივრცე როგორც დახურული ასევე ღია. დაგვჭირდება დამატებით გამოყოფილი ორი სივრცე, სადაც თანამშრომლები შეძლებენ გამოცვლას და მოწესრიგებას.

გაფორმება: ტერიტორია უნდა იყოს თემატურად გაფორმებული, უნდა იყოს სივრცე სადაც განთავსდება სტენდი და გიფერი ფოტო გადაღებისთვის, მაგიდები უნდა იყოს თემატურად მორთული. დაგვჭირდება სცენა, მონიტორი და ამ სცენის გაფორმებაც თემატურად.

ბენდი: აპარატურა და ბენდის მოყვანა უნდა უზრუნველყოს თვითონ კომპანიამ.

ტრანსპორტი: ავტობუსები უნდა მოიძიოს და უზრუნველყოს კომპანიამ.

კომენტარები

მზად ვართ შევხვდეთ მონაწილე კომპანიებს და გავიაროთ დეტალები. გვინდა დეტალური ხარჯთაღრიცხვა, ვინაიდან ბიუჯეტიდან გამომდინარე მოთხოვნები შეიძლება დაკორექტირდეს.